

სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის
სამინისტროს 2024 წლის ანგარიშზე



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს
კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი
გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველის
სპეციალური ანგარიში

2025

შინაარსი

შესავალი.....	4
ცინცაბადის ჯგუფის საქმეები; გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტის გადაწყვეტილება საქმეზე ჯ.ჩ. და ჯ.ე. საქართველოს წინააღმდეგ	5
ზოგადი ღონისძიებები.....	5
სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი	6
სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამოძიებათა ეფექტიანობა	7
წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციის პრობლემა	8
არასათანადო მოპყრობის პრევენციის გარანტიები	9
დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა	10
იდენტობის ჯგუფის საქმეები.....	11
ზოგადი ღონისძიებების შეფასება.....	11
კანონმდებლობა.....	12
შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა.....	14
შეუწყნარებლობით მოტივით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლა	15
სტატისტიკის წარმოება	16
თხელიძის ჯგუფის საქმეები; ხანუმ ჯეირანოვას საქმე;.....	16
პოლიტიკის დოკუმენტები/ეროვნული კანონმდებლობა	18
პრევენციული ზომების გამოყენების პრაქტიკა.....	20
საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების თანამშრომელთა კვალიფიკაცია	22
გენდერული ძალადობის შემთხვევებზე სასჯელების გამოყენების პრაქტიკა	23
საქმე მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	24
ზოგადი ღონისძიებების აღსრულების კუთხით არსებული ხარვეზები	24
ვიდეო-ჩანაწერები პენიტენციურ სისტემაში	25
ანა არგანაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	26
ნინოწმინდის პანსიონატში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა.....	27

დაწესებულებათა მონიტორინგი და არასრულწლოვნებთან კონფიდენციალური გასაუბრება.....	27
ბავშვზე მორგებული საჩივრების სისტემა, იურიდიული დახმარებისა და წარმომადგენლობის უზრუნველყოფა	28
გამოძიება და არასრულწლოვანთა პროცედურული გარანტიების უზრუნველყოფა	29

შესავალი

ეს დოკუმენტი საქართველოს პარლამენტისათვის სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სპეციალური ანგარიშია, რომელშიც მოცემულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში- სამინისტრო) 2024 წლის ანგარიშების ალტერნატიული შეფასებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში- გაერო) წამების წინააღმდეგ კომიტეტის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ.¹

სამინისტროს ანგარიშები მზადდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 174-ე და 175-ე მუხლების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს ანგარიშს საქართველოს წინააღმდეგ გაეროს კომიტეტების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ.

ალტერნატიული ანგარიში მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

დოკუმენტში მიმოხილულია: საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებები შემდეგ საქმეებში: „ცინცაბადის ჯგუფი“, „იდენტობის ჯგუფი“, „თხელიძის ჯგუფი“ და „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“; გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ საქმეზე „ანა არგანაშვილი საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება; გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტის გადაწყვეტილება საქმეზე ჯ.ჩ. და ჯ.ე. საქართველოს წინააღმდეგ; გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

წინამდებარე დოკუმენტი არამხოლოდ ეხმიანება სამინისტროს ანგარიშს, არამედ მიმოიხილავს ზემოაღნიშნული საქმეების აღსრულებისთვის მნიშვნელოვან ისეთ საკითხებსაც, რომლებიც არ არის ნახსენები სამინისტროს ანგარიშებში.

¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ

ალტერნატიული ანგარიშის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია სახალხო დამცველის რეკომენდაციები ზემოაღნიშნული საქმეების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ ზომებთან დაკავშირებით.

**ცინცაბაძის ჯგუფის საქმეები; გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტის
გადაწყვეტილება საქმეზე ჯ.ჩ. და ჯ.ე. საქართველოს წინააღმდეგ
საქმეების შესახებ**

ე.წ. „ცინცაბაძის ჯგუფში“ გაერთიანებული საქმეები ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მატერიალურ და პროცედურულ დარღვევებს (ძირითადად სამართალდამცავთა და ციხეების თანამშრომელთა მიერ ჩადენილ მკვლელობებს, წამებას და არასათანადო მოპყრობას და ამ ფაქტების არაეფექტიან გამოძიებას). ხსენებულ საქმეებში ასევე დადგინდა კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების) და მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლების) მუხლების დარღვევა.

2017 წლის 12 მაისს გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ჯ.ჩ. და ჯ.ე. საქართველოს წინააღმდეგ“. მომჩივნები, ჯ.ჩ. და მისი შვილი ჯ.ე., რომლებიც 2010 წლის 10 ოქტომბერს დააკავეს, დაობდნენ, რომ მათი დაკავებისა და დაკითხვის პროცესში სახელმწიფომ დაარღვია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია. დიაბეტიით დაავადებული მეორე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას არ მისცეს ინსულინის ინექციის გაკეთების საშუალება პოლიციის განყოფილებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში, 2010 წლის 10 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრამდე, რამაც გამოიწვია მისი მდგომარეობის გაუარესება. აგრეთვე, მათ განაცხადეს, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა ეფექტიანი გამოძიების ვალდებულება.

ზოგადი ღონისძიებები

ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებთან მიმართებით სამინისტროს ანგარიშში მოცემული მსჯელობა დიდწილად კონცენტრირებულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის როლზე, მანდატსა და ასევე პროკურატურის მიერ პოლიციის თანამშრომელთა და

პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დაწყებულ სისხლის სამართლებრივი დევნის შემთხვევებზე.²

იდენტური ინფორმაციაა მოცემული გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტის მიერ მიღებული ზემოხსენებული გადაწყვეტილების აღსრულების შეფასების შესახებ სამინისტროს ანგარიშშიც.³ ამდენად, ცინცაბადის ჯგუფის საქმეებთან მიმართებით ამ ქვეთავში მოცემული შეფასებები სრულად რელევანტურია ამ უკანასკნელი საქმისთვისაც.

წინამდებარე ქვეთავში მიმოვიხილავთ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატთან, არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და სხვა იმ საკითხებს, რასაც არ ფარავს სამინისტროს ანგარიში.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი

სამინისტროს ანგარიშში მითითებულია, რომ 2024 წლის მაისში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სამსახურის მანდატი ვრცელდება მათ ქვემდებარეობაში უკვე არსებული დანაშაულების გამოძიებაზე მაშინაც კი თუ ისინი პროკურორმა ჩაიდინა.⁴ ამ მიმართებით სახალხო დამცველი წლებია მიუთითებს, რომ მანდატი უნდა გავრცელდეს გენერალური პროკურორისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზეც.⁵ ამასთან ერთად, სამსახურის საგამოძიებო მანდატში კვლავ რჩება დანაშაულები, რომლებიც პირდაპირ არ მიემართება სამსახურის ძირითად მანდატს.⁶

ამავდროულად, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, თავისი საგამოძიებო მანდატის განხორციელებისას, კვლავ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პროკურატურაზე. ამდენად, აუცილებელია ამ მიმართებით სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების შესრულება.⁷

² საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 56-61;

³ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ გვ. 4-9

⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 58

⁵ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 73-74, <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 30 იანვრის კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ცინცაბადის ჯგუფის საქმეებზე პარა. 3. <https://tinylink.info/10RbH> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁷ იქვე, პარა. 19

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამოძიებათა ეფექტიანობა

სამინისტრო ანგარიშში და მინისტრთა კომიტეტის წინაშე წარდგენილ სამოქმედო გეგმაშიც მიუთითებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებებზე.⁸ თუმცა, სამართალდამცავთა მიერ 2024 წლის განმავლობაში საპროტესტო აქციებზე ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება და სამართალდამცავების დაუსჯელობა, სამწუხაროდ არ იძლევა ზემოაღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ საპროტესტო აქციების დაშლის დროს დაკავებულებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ წლიდან წლამდე არასათანადო მოპყრობის მზარდი ტენდენცია იკვეთება.⁹

სახალხო დამცველის შეფასებით, 2024 წელს საპროტესტო აქციების ფარგლებში გამოვლენილი უფლებადარღვევები, სპეციფიკისა და, განსაკუთრებით, მასშტაბურობის გათვალისწინებით ნათლად მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა სისტემურ არასათანადო მოპყრობას, თავისუფლების უფლების, საქმის სამართლიანი განხილვის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევებს.

სამწუხაროა, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, 2024 წელს საპროტესტო აქციების ფარგლებში გამოვლენილი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების თაობაზე, მიმდინარე გამოძიება არაეფექტიანია, რადგან კონცენტრირებული არ არის დანაშაულის სრული სურათის აღდგენაზე, ფოკუსირებულია მხოლოდ პოლიციის ცალკეული თანამშრომლების დანაშაულებრივი ქმედების და არა ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის გამოკვეთაზე.¹⁰ დღეის მდგომარეობით, არცერთი სამართალდამცავის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, ¹¹ იმ პირობებში, როდესაც ორ შემთხვევაში პოლიციელი, რომელიც მოქალაქეზე ძალადობდა, სრულად იდენტიფიცირებადი იყო.¹²

ამავე კონტექსტში აღსანიშნავია ისიც, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს სხვადასხვა კერძო და საჯარო დაწესებულებები, ურთიერთგამომრიცხავი მიზეზით

⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 56; Action Plan (31/03/2025) Communication from Georgia concerning the case of TSINTSABADZE v. Georgia (Application No. 35403/06) para. 319 available at: <https://rb.gy/bu45g6> [last accessed 16/05/2025];

⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 77-79, 81,82 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

¹⁰ იქვე, გვ. 79

¹¹ იქვე, გვ. 78

¹² იქვე.

არ აწვდიან გამოძიებისთვის საინტერესო მოვლენების ამსახველ ვიდეოჩანაწერებს.¹³ ამავდროულად, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის (გდდ) თანამშრომლები არ ატარებენ რაიმე მაიდენტიფიცირებელ ნიშანს, რაც არსებითად უშლის ხელს პასუხისმგებელი პირების გამოვლენას და მნიშვნელოვნად აზიანებს გამოძიების პროცესს. რაც, თავის მხრივ, ახალისებს დაუსჯელობას. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პრობლემაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოში, 2019 წლის 20-21 ივნისს შეკრების დაშლის საქმეზეც.¹⁴

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო პროცესს ხელს უშლის სამსახურის კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორებიც, მიმდინარე გამოძიება არაეფექტიანია და არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის სტანდარტებს. იმ ფონზე, როდესაც არასათანადო მოპყრობის ჩამდენ პოლიციელთა მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი იმ შემთხვევაშიც არ დამდგარა, როდესაც მათი ამოცნობა შესაძლებელი იყო.¹⁵

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციის პრობლემა

სამინისტროს ანგარიშში მოცემული სისხლის სამართლებრივი დევნისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დაწყებული გამოძიებების ფარგლებში გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების სტატისტიკა კვლავ გამოკვეთს პრობლემას, რომელსაც სახალხო დამცველი წლებია ხაზს უსვამს.¹⁶

კერძოდ, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მაკვალიფიცირებელი სპეციალური ნორმების არსებობის მიუხედავად, ამ ქმედებათა ნიშნების შემცველი დანაშაულების კვალიფიკაციისთვის უმეტეს შემთხვევებში სამოხელეო დანაშაულის ნორმები გამოიყენება.¹⁷

2024 წლის განმავლობაში აქციების დროს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე, სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოძიებას აწარმოებს საქართველოს

¹³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ.79, 85 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

¹⁴ იქვე; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 07 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Tsaava and Others v. Georgia, საჩივარი 13186/20 პარა. 223

¹⁵ იქვე, გვ. 84-85

¹⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 57-59;

¹⁷ სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 7-8;

სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაციით, მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველების მხრიდან ათეულობით ადამიანის - აქციის მონაწილეებისა და დაკავებულების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები თავისი ძალადობის ხასიათით, ხარისხით და ინტენსივობით არ არის მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტება და აშკარად მიუთითებს, რომ მსხვერპლების მიმართ ადგილი ჰქონდა სავარაუდო წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ქმედებებს.¹⁸ სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ზოგადი ნორმებით მათი ქმედებების კვალიფიცილება არ ასახავს იმ მოპყრობის ბუნებას, მასშტაბსა და სისასტიკეს, რომელიც მსხვერპლებმა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან განიცადეს.¹⁹

არასათანადო მოპყრობის პრევენციის გარანტიები

სამართალდამცველებსა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის ვიდეოჩაწერა

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად, კვლავ აქტუალურია სამართალდამცველებსა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებით წლების განმავლობაში იდენტიფიცირებული გამოწვევები.²⁰ სამწუხაროდ, მათი დაძლევის მიმართულებით სახელმწიფოს ძალისხმევა არასათანადოა.²¹

არასათანადო მოპყრობის გამოვლენის და დოკუმენტირების ხელშემშლელი ფაქტორები

ზემოხსენებულთან ერთად, კვლავ პრობლემაა პენიტენციურ დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების სათანადო დოკუმენტირება და პაციენტსა და ექიმს შორის ნდობის საკითხი. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებებში რიგ შემთხვევებში ირღვევა პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობის კონფიდენციალობის პრინციპი რადგან, პატიმრიდან მომდინარე საფრთხის დონის მიუხედავად, მათ შეხვედრებს დაწესებულების თანამშრომელი

¹⁸საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ.94, <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

¹⁹ იქვე, გვ.81

²⁰ სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მომდინარე საქმეები)გვ. 12-14; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1492-ე შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება (12-14 მარტი 2024) პარა. 8, <https://rb.gy/cigif4> [ბოლოს ნანახია 16/05/2025]

²¹საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ.69-70 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

ესწრება.²² პაციენტისა და ექიმის ნდობის ჭრილში პრობლემურია პენიტენციური დაწესებულების ექიმების დამოუკიდებლობაც, რადგან ისინი დასაქმებულნი არიან იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და არა ჯანდაცვის სამინისტროს ფარგლებში, რომლითაც ჯანდაცვა ზოგადად იმართება ქვეყანაში.²³

სახალხო დამცველის შეფასებით, ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფით ზეგავლენას ახდენს ციხის ექიმსა და პაციენტს შორის ნდობაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არა გულახდილი კომუნიკაცია სამედიცინო გამოკვლევისას, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება არაადამიანური მოპყრობის გამოვლენაზეც.

პენიტენციურ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის გამოვლენას აბრკოლებს ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედი პატიმართა არაფორმალური იერარქია. არაფორმალური იერარქიის გამო, წინა წლების მსგავსად, პატიმრები კვლავ თავს იკავებენ საჩივრების გაგზავნისგან.

პოლიციის განყოფილებებისა და, ზოგადად, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შესწავლილი 132 საქმიდან 12%-ის შემთხვევაში დაკავების ოქმები არ შეიცავდა დაკავებულის იმ ტრავმებს, რომელიც ასახული იყო დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო ჩანაწერებში.²⁴ ამავედროულად, 40%-ის შემთხვევაში, დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო პერსონალის მიერ დოკუმენტირებული დაზიანებები არასრული იყო ან საერთოდ არ იყო აღწერილი.²⁵ ეს ყოველივე აჩენს პრეზუმციას, რომ დაკავებულმა დაზიანებები სახელმწიფოს უშუალო კონტროლის ქვეშ მიიღო.²⁶

დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა

სახალხო დამცველი წლებია სწავლობს დეესკალაციის ოთახში პატიმართა დასჯის მიზნით მოთავსების პრაქტიკას და მიუთითებს, რომ იგი არაადამიანურ მოპყრობას უთანაბრდება.²⁷ ეს პრაქტიკა დღესაც უცვლელია.²⁸ სამწუხაროდ, კვლავ არ

²²საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ.57 <https://rb.gy/u8p7l1> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

²³ იქვე, გვ. 58

²⁴ იქვე, გვ. 59

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე.

²⁷ საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 30 იანვრის კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ცინცაბადის ჯგუფის საქმეებზე პარა. 16 <https://tinylink.info/10RbH> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]; საქართველოს სახალხო დამცველის 2025 წლის 22 აპრილის კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ცინცაბადის ჯგუფის საქმეებზე პარა. 23 <https://rb.gy/oe0ncv> [ბოლოს ნანახია 16/05/2025]

²⁸საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ.42 <https://rb.gy/u8p7l1> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

შესრულებულა სახალხო დამცველისა და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაცია დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალური ვადის 72 საათიდან 24 საათამდე შემცირების შესახებ.²⁹ მეტიც, აღნიშნულ ოთახში მოთავსების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო კვლავ არ ადგენს დეესკალაციის ოთახსა და სამართო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსების უკიდურესობის დასაბუთების და ამ ზომის გამოყენებამდე სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებების გამოყენების ვალდებულებას.³⁰

ამავდროულად, ვინაიდან ამ ოთახებში მოთავსებისას თვითდაზიანების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, სახალხო დამცველი სახელმწიფოს მუდმივად აძლევს რეკომენდაციას დეესკალაციის ოთახებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.³¹

სამწუხაროდ დეესკალაციის ოთახში პატიმრის დაუსაბუთებელი და თითქმის უწყვეტი, მაქსიმალური ვადით მოთავსების პრაქტიკა 2024 წელსაც შენარჩუნდა.³² თუმცა, განსაკუთრებით ყურადსაღები ამ ოთახში არასრულწლოვნის მოთავსება იყო.³³ სამართო საკანში ან დეესკალაციის ოთახში არასრულწლოვნის მოთავსება, მითუმეტეს, არასათანადო პირობებში, ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნებსა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის სულისკვეთებას.³⁴

იდენტობის ჯგუფის საქმეები

საქმეთა შესახებ

„იდენტობის ჯგუფში“ გაერთიანებული საქმეები ეხება შეკრებებისა და მსვლელობების მიმდინარეობისას კერძო პირთა მიერ ჰომოფობიური ან რელიგიური ნიშნით ჩადენილი თავდასხმებისგან მომჩივნების არასათანადო დაცვას სახელმწიფოს მიერ, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ნიადაგზე საპოლიციო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და აღნიშნულ ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიებების არარსებობას.

ზოგადი ღონისძიებების შეფასება

სამინისტროს მიერ წარდგენილი ანგარიში დიდწილად კონცენტრირებულია შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლის სამართლებრივი

²⁹ იქვე, გვ. 49

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

³² იქვე, გვ. 48

³³ იქვე.

³⁴ იქვე.

დევნის მზარდ სტატისტიკაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შიდასტრუქტურულ ცვლილებებზე, ცნობიერების ამაღლების აქტივობებსა და დასახელებული უწყებების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.³⁵

თუმცა, ანგარიში არ პასუხობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2024 წელს მიღებულ ბოლო გადაწყვეტილებაში დასმულ რიგ საკითხებს, კერძოდ: კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა არ მიიღოს “ოჯახური ღირებულებების შესახებ” საქართველოს კანონი, აწარმოოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შეტყობინებათა სტატისტიკა და ჰქონდეს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ამ ტიპის დანაშაულებთან ბრძოლაში მათ შორის, უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე საჯაროდ გამოხატოს ნულოვანი ტოლერანტობა დისკრიმინაციისა და სიძულვილის დანაშაულის ნებისმიერი ფორმის მიმართ.³⁶

ამდენად ამ ქვეთავში ყურადღება უპირატესად გამახვილდება იმ ასპექტებზე, რასაც არ ფარავს სამინისტროს ანგარიში.

კანონმდებლობა

2024 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა “ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონი მიიღო.³⁷ კანონპროექტზე საკუთარი პოზიციის გამოსახატად, საქართველოს სახალხო დამცველმა შეხვედრები გამართა საქართველოს პარლამენტში. განხილული საკითხები მოიცავდა, მათ შორის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების შესაძლო შეზღუდვას, აკადემიურ თავისუფლებაზე გავლენას და სახალხო დამცველის მანდატისა და უფლებამოსილების განხორციელების საკითხებს.³⁸ კანონპროექტში შესწორებები განხორციელდა, რაც გულისხმობდა „პოპულარიზაციის“ განსაზღვრების დამატებას და კანონის მე-11 მუხლის დაზუსტებას, რაც ქმნიდა სახალხო დამცველის მანდატის განხორციელების პოტენციურ საფრთხეს. ასევე, კანონის მოქმედება არ გავრცელდა იმ შემთხვევებზე, სადაც სამოქალაქო რეესტრში პირის სქესი, რომელიც განსხვავდებოდა მისი ბიოლოგიური სქესისგან, უკვე იყო მითითებული. შესულ ცვლილებებთან

³⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 76-82

³⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1507-ე შეხვედრაზე (17-19 სექტემბერი) მიღებული გადაწყვეტილება პარა. 4, 6, 7 <https://rb.gy/1433wk> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

³⁷ “ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონი.

³⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 229.

დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანონში მოცემული ტერმინ პოპულარიზაციის განმარტება ბუნდოვანია.³⁹

საბოლოო ჯამში ზემოაღნიშნული კანონი შეეხო, როგორც შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, რომელზეც ქვევით გავამახვილებთ ყურადღებას, ასევე აკადემიურ სივრცეებსაც. კანონით იკრძალება საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც „მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.“⁴⁰ რაც წარმოადგენს ბარიერს გენდერული საკითხების, ადამიანის უფლებების კვლევისა და სხვა აკადემიური დისციპლინების განვითარებისა და სწავლებისთვის.

ამავდროულად, კრიმინალიზებულია ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ისეთი ქმედებების განმეორებით ჩადენა, როგორიცაა: რეკლამის გავრცელება, (უმაღლეს) საგანმანათლებლო პროგრამაში ინფორმაციის შეტანა ან/და თანამშრომლის მიერ ინფორმაციის გავრცელება ან გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁴¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონი შეიცავს ტერმინის - „პოპულარიზაციის“ განმარტებას, თუმცა ის ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის მოთხოვნას და ქმნის თვითნებობის მაღალ რისკს. დაუშვებელია, ნორმის შემფარდებლის განმარტებაზე იყოს დამოკიდებული კონკრეტული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების (შეკრება, გამოხატვა, შემოქმედების თავისუფლება, პირადი ცხოვრება და თავისუფალი

³⁹ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 229-230; <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]; სახალხო დამცველის 2025 წლის იანვრის კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს იდენტობის ჯგუფის საქმეების აღსრულების შესახებ პარა. 7, 9. <https://tinylink.info/10RLA> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]; დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 20, <https://tinyurl.com/yw473nrc> [16/05/2025];

⁴⁰ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

⁴¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 230; <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025];

განვითარების უფლება) რეალიზებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა.⁴²

სამწუხაროა, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა საქართველოსთან მიმართებით პირველად მიიღო შუალედური რეზოლუცია, რადგან ჩათვალა, რომ სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საკითხი- ასრულებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ევროსასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლის შესრულების ვალდებულებაც საქართველოს, როგორც ევროპული კონვენციის მაღალ ხელშემკვრელ მხარეს აკისრია.⁴³

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ბოლო დროებით რეზოლუციაშიც ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფომ შეკრების თავისუფლებით ეფექტიანი სარგებლობა უნდა უზრუნველყოს დისკრიმინაციის გარეშე, გამკაცრებული დაცვისა და პრევენციული ზომების პირობებში.⁴⁴ ამ კონტექსტში, როგორც უკვე აღინიშნა, ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით აიკრძალა ისეთი საჯარო შეკრება რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁴⁵ ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს.

2024 წელს საქართველოში ლგბტქი+ თემს შეკრებისა და მანიფესტაციის კონსტიტუციური უფლებით არ უსარგებლია.⁴⁶ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების კონტექსტში აღსანიშნავია კანონის „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ მე-10 მუხლი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, კრძალავს შეკრებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის პოპულარიზაციას. მართალია, საკანონმდებლო

⁴² საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 229 -230; <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025];

⁴³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1521-ე შეხვედრაზე (6 მარტი 2025) მიღებული დროებითი რეზოლუცია. <https://tinylink.info/10RN4> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁴⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1507-ე შეხვედრაზე (17-19 სექტემბერი) გადაწყვეტილება პარა. 5 <https://rb.gy/1433wk> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁴⁵ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.2

⁴⁶ თბილისის პრაიდის განცხადება: <https://bit.ly/3BOeMG1>.

მოწესრიგება პოპულარიზაციად⁴⁷ მიიჩნევა მხოლოდ ისეთ ინფორმაციასა და ქმედებას, რომელიც კონკრეტულ საკითხებს დადებითად ან/და მისაბამად წარმოაჩენს, თუმცა გაურკვეველი რჩება აკრძალვის ზუსტი ფარგლები, რაც შემაკავებელი ეფექტის მქონეა გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის თვალსაზრისით.⁴⁸

შეუწყნარებლობით მოტივით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლა

როგორც უკვე აღინიშნა, სამინისტროს ანგარიში მოიცავს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლებს, კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, ამ კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებსა და ცნობიერების ამაღლების კამპანიებში მონაწილეობის საკითხებს.⁴⁹

იუსტიციის სამინისტროს პარლამენტის წინაშე წარდგენილ ანგარიშში ხაზს უსვამს, რომ საქართველოს მთავრობა ნულოვან ტოლერანტობას იჩენს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და დისკრიმინაციის მიმართ, თუმცა, 2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების საწინააღმდეგო აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდება კონკრეტულ პირებს არც 2024 წლის განმავლობაში წარდგენია.⁵⁰ შესაბამისად, სიძულვილით მოტივირებული ძალადობის ორგანიზატორთა დაუსჯელობა, სამწუხაროდ არ იძლევა ზემოაღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. წინა წლების მსგავსად, მიმდინარე საანგარიშო წელსაც გამოვლინდა დისკრიმინაციის წახალისების სხვადასხვა შემთხვევა, რაც თანასწორი და ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებაზე ნეგატიურად აისახება.⁵¹ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური რიტორიკა კვლავაც აქტიურად გამოიყენებოდა, რაც მიზნად ისახავდა მათი როლის დაკნინებას და საზოგადოებრივ დისკურსში მათი მონაწილეობის

⁴⁷ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, მუხლი 3.

⁴⁸ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 21-22, <https://tinyurl.com/yw473nrc> [16/05/2025];

⁴⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ.77, 78-81.

⁵⁰ სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში, გვ. 136

⁵¹ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 34-35 <https://tinyurl.com/yw473nrc> [16/05/2025];

შეზღუდვას. ასევე, წინასაარჩევნო პერიოდში თვალსაჩინო იყო ჰომოფობიური ნარატივების გავრცელება.⁵²

ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულებაა განახორციელოს სათანადო რეაგირება ძალადობის ორგანიზატორთა და წამახალისებელთა მიმართ. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიების ძალადობრივად ჩაშლის ორგანიზატორები კვლავ დაუსჯელნი რჩებიან.⁵³

სტატისტიკის წარმოება

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს აწარმოოს შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების შეტყობინების სტატისტიკაც.⁵⁴ მართალია სამინისტროს ანგარიშში მოხმობილი სტატისტიკური დოკუმენტაცია მრავლისმომცველია, თუმცა, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოწოდების მიუხედავად, იგი არ მოიცავს განცხადებების რაოდენობრივ მონაცემებს სავარაუდო დანაშაულების თაობაზე, სადაც შესაძლოა იკვეთებოდეს დანაშაულის ჩადენის სიძულვილის/შეუწყნარებლობის მოტივაცია (hate crime allegations).⁵⁵ ეს პრობლემა სახალხო დამცველმა ერთხელ უკვე გამოკვეთა.⁵⁶ ამავდროულად, 2023 წლის მსგავსად, 2024 წლის ერთიან სტატისტიკურ ანგარიშშიც არ არის კონკრეტული მუხლის საფუძველზე დაწყებული საქმეები შემდგომ ჩაშლილი დისკრიმინაციის ნიშნის და მსხვერპლს/სავარაუდო დამნაშავეს შორის სოციალური კავშირის მიხედვით.⁵⁷ სახალხო დამცველი კვლავ მიუთითებს, რომ სტატისტიკაზე მუშაობის გარდა, მნიშვნელოვანია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამომწვევი რისკ-ფაქტორებისა და დანაშაულთა გამოვლენის ხელშემშლელი გარემოებების გაანალიზება.⁵⁸

თხელიძის ჯგუფის საქმეები; ხანუმ ჯეირანოვას საქმე;

საქმეების შესახებ

⁵² იქვე.

⁵³ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიში, 2024 გვ. 136 <https://tinyurl.com/3k4tc6xk> [16/05/2025]

⁵⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1507-ე შეხვედრაზე (17-19 სექტემბერი) მიღებული გადაწყვეტილება პარა. 7 <https://rb.gy/1433wk> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁵⁵ ხელმისაწვდომია: <https://tinylink.info/10RUl> გვ. 1 [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁵⁶ სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 41-42

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე.

„თხელიძის ჯგუფში“ გაერთიანებულ გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია პოზიტიური ვალდებულება, მიეღო პრევენციული ზომები ქალების დასაცავად ოჯახური ძალადობისგან, რასაც საბოლოოდ მათი მკვლელობა მოჰყვა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სახელმწიფომ არ გამოიძია სამართალდამცავთა უმოქმედობა, სისტემური დარღვევებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფონზე.

2021 წლის 25 ოქტომბერს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე. კომიტეტმა დაადგინა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ქალის მიმართ გენდერული ნიშნით და ღირსების სახელით ჩადენილი ძალადობის გამო, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. კერძოდ, კომიტეტის განმარტებით საქართველომ არ მიიღო ყველა შესაბამისი ზომა მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიება.

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი ანგარიში არ პასუხობს მინისტრთა კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილებაში დასმულ რიგ საკითხებს. კერძოდ, კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა რისკის შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებისა და ამ პროცესში ძალადობის ისტორიის სათანადო შეფასებისთვის მიღებული ზომების შესახებ კომიტეტის ინფორმირებისკენ.⁵⁹ დამატებით, კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენებისა და პირთა მხრიდან ამ ორდერების პირობების დაცვის პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისკენაც.⁶⁰ სამინისტროს ანგარიში კი მხოლოდ გამოყენებული ორდერების თაობაზე სტატისტიკას შეიცავს და არ ეხება მათი დარღვევის კომპონენტს.⁶¹

ამავდროულად, სამინისტროს ანგარიშში არაფერია ნათქვამი სასამართლოს მიერ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკასა და აღნიშნულის მიზეზებზე, სასამართლო განხილვების ხანგრძლივობასა და ბრალდებულთა მიმართ

⁵⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1514-ე შეხვედრაზე (3-5 დეკემბერი 2024) მიღებული გადაწყვეტილება, პარა. 3; <https://rb.gy/iit61f> [ბოლოს ნანახია 19/05/2025]; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 93-101;

⁶⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1514-ე შეხვედრაზე (3-5 დეკემბერი 2024) მიღებული გადაწყვეტილება, პარა. 3; <https://rb.gy/iit61f> [ბოლოს ნანახია 19/05/2025]

⁶¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 99

გამოყენებული სასჯელების შემაკავებელ ეფექტზე.⁶² საგულისხმოა, რომ მინისტრთა კომიტეტი ყურადღებას ამ ასპექტებზეც ამახვილებს.⁶³

საგულისხმოა ისიც, რომ კომიტეტის მოწოდების მიუხედავად, ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას გენდერული ძალადობის შემთხვევებზე არასათანადო რეაგირების გამო, სამართალდამცავთა მიმართ გატარებული ზომების შესახებ.⁶⁴

პოლიტიკის დოკუმენტები/ეროვნული კანონმდებლობა

სამინისტროს ანგარიშში კვლავ ხაზგასმულია 2022-2030 წლებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცება.⁶⁵ ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით ამ დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შეფასებისას სახალხო დამცველმა მოსაზრებები წარადგინა, თუმცა ისინი არ გაზიარებულა.⁶⁶ სამინისტრო, წარმოდგენილ ანგარიშში, ასევე მიუთითებს გენდერული თანასწორობისთვის ქვეყანაში არსებულ ინსტიტუციურ მექანიზმებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ყველა მოსაზრება და არგუმენტაცია, რაც სახალხო დამცველის 2023 წლის ალტერნატიულ ანგარიშშია წარმოდგენილი, კვლავ რელევანტურია და ძალაშია.⁶⁷

ხაზგასასმელია ისიც, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტის (ეროვნული რეფერალური მექანიზმი) ზოგადი ხასიათი ვერ უზრუნველყოფს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვისათვის სახელმწიფო უწყებების მიერ გადასადგმელ კოორდინირებულ მოქმედებას.⁶⁸

⁶² იქვე, გვ. 93-101

⁶³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1514-ე შეხვედრაზე (3-5 დეკემბერი 2024) მიღებული გადაწყვეტილება, პარა. 4 <https://rb.gy/jit61f> [ბოლოს ნანახია 19/05/2025]

⁶⁴ იქვე, პარა. 5; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 93-101

⁶⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 93

⁶⁶ სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 26

⁶⁷ სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 27

⁶⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 246 <https://rb.gy/u8p71l> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშით იკვეთება, რომ 3- წლიან სამოქმედო გეგმაში სიღრმისეული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი ქმედითი ნაბიჯები არ იყო ასახული.⁶⁹ დოკუმენტი სათანადოდ არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა დაზარალებულთა სოციალური რეაბილიტაცია და ეკონომიკური გაძლიერება. დამატებით, სამოქმედო გეგმა ნაკლებადაა ფოკუსირებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე და ამ მიმართულებით მხოლოდ ერთ აქტივობას ითვალისწინებს.⁷⁰

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას მნიშვნელოვნად აფერხებს ამ დანაშაულებზე მონაცემთა შეგროვების ინტეგრირებული სისტემისა და ერთიანი მეთოდოლოგიის არარსებობა, რადგან შეუძლებელია დანაშაულებზე ერთიანი სურათის შექმნა.⁷¹

ამავდროულად, კვლავ გამოწვევად სახელდება საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა და გაუპატიურების დეფინიციაში თავისუფალი თანხმობის კომპონენტის არარსებობა.⁷² ასევე, კანონი კვლავ არ ითვალისწინებს დაზარალებულის დისტანციურად დაკითხვის ან ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის შესაძლებლობას.⁷³ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებების გაზიარების შემდეგ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში გარკვეული ცვლილებები შევიდა, აღსანიშნავია, რომ რიგი საკითხები კვლავ პრობლემად დარჩა.⁷⁴ მაგალითად, სახალხო დამცველი მიიჩნევდა, რომ ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე ამნისტია უნდა

⁶⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 246 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025];

⁷⁰ იქვე.

⁷¹ იქვე, გვ. 245-246

⁷² იქვე, გვ. 244; სახალხო დამცველის 2024 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს თხელიძის ჯგუფის საქმედებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, პარაგრაფი 3 <https://tinylink.info/10QtI> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁷³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 244 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁷⁴ იქვე; მაგალითისთვის, სახალხო დამცველის პოზიციის წარდგენის შემდგომ დაემატა ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულები. ასევე, ქალის მიმართ გენდერის ნიშნით და ოჯახური დანაშაულების განხილვისას სავალდებულო გახდა მოსამართლის მიერ დაზარალებულის პოზიციის მოსმენა, იხ. იქვე, სქოლიო 708.

გავრცელებულიყო იმ პირებზე, რომლებსაც ძალადობრივი ქცევის კორექციის კურსი გავლილი ჰქონდათ.⁷⁵

სამინისტროს ანგარიშში კვლავ მითითებულია, რომ დამტკიცდა მსხვერპლთა კომპენსაციის გაცემის წესი, თუმცა პრაქტიკაში პრობლემურია მოძალადის გარდაცვალების ან შეურაცხადობის პირობებში კომპენსაციის გაცემა შესაბამისი რეგულაციის არ არსებობის გამო.⁷⁶ ამ პროცედურების არარსებობა ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის მსხვერპლთა მიერ სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მიღებას. გასათვალისწინებელია, რომ სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, ამ წესში ცვლილებები არ შესულა.⁷⁷

პრევენციული ზომების გამოყენების პრაქტიკა

სამწუხაროდ, ფემიციდისა და, ზოგადად, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის პრევენცია კვლავ მწვავე გამოწვევაა. ამ კუთხით 2024 წელს განსაკუთრებით პრობლემური იყო ამნისტიის შედეგად პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ, დამცავი ორდერის პირობებში, ყოფილი მეუღლის მკვლელობა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს მოძალადეთა რეაბილიტაციის და რისკების სწორად შეფასების სასიცოცხლო აუცილებლობაზე.⁷⁸ აღსანიშნავია, რომ რისკების შეფასების ინსტრუმენტისა და მოძალადის ქცევის ისტორიის ანალიზის აუცილებლობას უკანასკნელ გადაწყვეტილებაში ხაზს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტიც უსვამს.⁷⁹

მიუხედავად ამისა, სამინისტროს ანგარიში ერთგვარად იმეორებს ხსენებულ გადაწყვეტილებამდე კომიტეტისთვის წარდგენილ ინფორმაციას და არ აფასებს რისკის შეფასების ინსტრუმენტის ეფექტიანობას.⁸⁰ აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი, ზოგადად, დადებითად აფასებს რისკის შეფასების ინსტრუმენტის 2023

⁷⁵ იქვე, გვ. 244, სქოლიო 709.

⁷⁶ იქვე, გვ. 247; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 94

⁷⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 247 <https://rb.gy/u8p71l> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁷⁸ იქვე, გვ. 36;

⁷⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1514-ე შეხვედრაზე (3-5 დეკემბერი 2024) მიღებული გადაწყვეტილება, პარა. 3 <https://rb.gy/iit61f> [ბოლოს ნანახია 19/05/2025]

⁸⁰ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 98-99; შეად. 1514th meeting (December 2024) (DH) - Action plan (03/10/2024) - Communication from Georgia concerning the group of cases of Tkheldze v. Georgia (Application No. 33056/17) პარა. 25-27

წელს განახლებულ ვერსიას, თუმცა პრაქტიკაში ვლინდება შემთხვევები, როცა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, პოლიციელები უარს ამბობენ რისკის შეფასებასა და შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე.⁸¹

საგულისხმოა, რომ სასამართლოს მხრიდან რისკების არასწორად შეფასება ძირითადად, ბრალდებულის მიმართ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით ან პირობითი მსჯავრის დანიშვნით ვლინდება.⁸² მაგალითად, თელავის რაიონულმა სასამართლომ შემაკავებელი ორდერის დარღვევისა და დაზარალებულის მიმართ განხორციელებული მუქარის გამო ბრალდებულს პირობითი მსჯავრი დაუნიშნა. შემდეგ კი ბრალდებულმა ყოფილი მეუღლე და მისი მოქმედი ქმარი გენდერული მოტივით მოკლა.⁸³ თბილისის საქალაქო სასამართლომ კი ოჯახში ძალადობისა და დაზარალებულის სიცოცხლის ხელყოფის მუქარისთვის ბრალდებულის მიმართ, პროკურატურის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად, გირაო გამოიყენა აღნიშნულის შემდეგ, ბრალდებულმა დაზარალებული თვითმკვლელობის მცდელობამდე მიიყვანა.⁸⁴

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის კუთხით აღსანიშნავია ისიც, რომ პრობლემა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსჯავრდებულების ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართვა და ამ პროგრამების გეოგრაფიული დაფარვაც.⁸⁵ კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩართულობის გასაზრდელად წახალისების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვაც. გამოწვევად იკვეთება სქესობრივ დანაშაულში მსჯავრდებული პირებისთვის პროგრამის არარსებობა. დამატებით, ასევე არ შემუშავებულა პროგრამა იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც დამცავი ორდერია გამოცემული.⁸⁶

ამავე კონტექსტშია აღსანიშნავი ისიც, რომ სახეზეა სამართალდამცავების არაეფექტიანი რეაგირება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს გენდერული ნიშნით

⁸¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2025 წლის 31 იანვრის № 25/1017- ზოგადი წინადადება შინაგან საქმეთა მინისტრს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რისკის შეფასების დოკუმენტის შევსების თაობაზე გვ. 1-6; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 245 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁸² თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2208-23; თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/17-24;

⁸³ თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/17-24;

⁸⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2208-23;

⁸⁵ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 248 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁸⁶ იქვე.

ჩადენილი დანაშაულების ყოველმხრივ გამოძიებასა და დაზარალებულების ეფექტიან დაცვას.⁸⁷

ამავე მსჯელობის ფარგლებში უნდა შეფასდეს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისას გატარებული ზოგადი ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ასპექტი, რომლის გამოც კომიტეტმა კონვენციის დარღვევა დაადგინა, სახელმწიფოს მიერ მსხვერპლის დასაცავად სათანადო პრევენციული ზომების გაუტარებლობა იყო.⁸⁸ ამ საქმის აღსრულების შესახებ სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში გატარებული მსჯელობა თხელიძის ჯგუფის საქმეზე მოცემულის იდენტურია და არ პასუხობს კომიტეტის მიგნებათა სიმძიმეს.⁸⁹

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების თანამშრომელთა კვალიფიკაცია

სამინისტროს ანგარიშების თანახმად, 2024 წლის განმავლობაში, ძირითადად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის, ცნობიერების ამაღლების არაერთი აქტივობა ჩატარდა.⁹⁰ ვინაიდან ფემიციდის საფუძველი საზოგადოებაში ქალის როლის შესახებ არსებული დისკრიმინაციული და სტერეოტიპული შეხედულებებია, მისასალმებელია გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიდგომა, რომლებიც სხვა უწყებებთან შედარებით, კამპანიური ხასიათის ღონისძიებებს აწარმოებენ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ფართო საზოგადოებისა და სპეციალიზებული სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლების მიზნით, თუმცა სხვა უწყებების მიერ ქვეყანაში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიზნებისთვის კამპანიები

⁸⁷ იქვე, გვ. 244-245

⁸⁸ Views adopted by the Committee under article 7 (3) of the Optional Protocol, concerning communication No. 140/2019, CEDAW, /C/80/D/140/2019, 13 December 2021 პარა. 7.4

⁸⁹ შეად. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ გვ.12-20; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 93-101

⁹⁰ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 96, 99-101

თითქმის არ იწარმოება.⁹¹ მეტიც, სახელმწიფო უწყებებისა და მუნიციპალიტეტების უმრავლესობა, შეცდომით აიგივებს საინფორმაციო შეხვედრებს ყოვლისმომცველ კამპანიებთან.⁹² ამასთანავე, ზოგადი განათლების სისტემაში ფრაგმენტულადაა ინტეგრირებული ეს თემები, რაც საქართველოს სხვადასხვა სკოლასა და რეგიონში არათანაბარი დაფარვის რისკს ქმნის.⁹³

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი საკვანძო უწყებების მიერ სპეციალისტების პროფესიულ გადამზადებასთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული შეზღუდულად ხორციელდება. მაგალითად, სასამართლოს და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და მცირეა პროფესიული მომზადების პროგრამების რაოდენობაც.⁹⁴ მეტიც, ამ პროგრამების განხორციელების ვადების სიმცირიდან გამომდინარე, ექვქვემ დგება მათი ეფექტიანობის საკითხიც. ამავდროულად, პრობლემურია ტრენინგების/პროფესიული მომზადების პროგრამის შემდგომი გრძელვადიანი შეფასების არარსებობაც.⁹⁵

ამ კონტექსტში სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მის მიერ ფემიციდის მონიტორინგის ფარგლებში გაანალიზებული საქმეებიდან კვლავ პრობლემად იკვეთება გენდერული ნიშნის დადგენა, როგორც გამოძიების ისე სასამართლოს ეტაპზე.⁹⁶

გენდერული ძალადობის შემთხვევებზე სასჯელების გამოყენების პრაქტიკა

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თხელიძის საქმეთა ჯგუფში მიღებულ ბოლო გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა სათანადო

⁹¹საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 246-247 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁹² იქვე.

⁹³ იქვე, გვ. 248

⁹⁴საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 248 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁹⁵ იქვე, გვ. 248

⁹⁶ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1514-ე შეხვედრაზე (3-5 დეკემბერი 2025) მიღებული გადაწყვეტილება, პარა. 7; <https://rb.gy/iit61f> [ბოლოს ნანახია 19/05/2025]; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ.35 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს თხელიძის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, პარა. 11-13. <https://tinylink.info/10QtI> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

შემაკავებელი ეფექტის მქონე სასჯელების გამოყენების აუცილებლობაზე.⁹⁷ ამ მიმართებით კვლავ პრობლემურია გენდერული ძალადობის ცალკეულ შემთხვევაზე ბრალდებულისთვის საპროცესო შეთანხმების გამოყენება.⁹⁸ ამავდროულად, ვინაიდან გენდერული ნიშნის დადგენა სასამართლო ეტაპზე კვლავ გამოწვევაა, სასჯელის დანიშვნასთან მიმართებით სახალხო დამცველის მიერ წინა ალტერნატიულ ანგარიშში ასახული პრობლემატიკა კვლავ აქტუალურია.⁹⁹

საქმე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

საქმის შესახებ

საქმე ეხება მომჩივნის, საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა და პრემიერ-მინისტრის, უფლებათა დარღვევებს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა, რადგან ეროვნულმა სასამართლომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობა საკმარისი დასაბუთების გარეშე გააგრძელა.¹⁰⁰ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან ერთად მე-18 მუხლის დარღვევაც დაადგინა, რადგან მომჩივნისთვის გაგრძელებული წინასწარი პატიმრობა გენერალურმა პროკურორმა არალეგიტიმური მიზნებისთვის - მომჩივანზე ზეწოლის მოსახდენად გამოიყენა. ამ ინციდენტზე ჩატარებული გამოძიებები ევროსასამართლომ არასათანადოდ მიიჩნია.

ზოგადი ღონისძიებების აღსრულების კუთხით არსებული ხარვეზები

მომდევნო ქვეთავში განხილულია საკითხები, რომლებიც მართალია არ მოხვედრილა სამინისტროს ანგარიშში, თუმცა, სახალხო დამცველის პოზიციით მნიშვნელოვანია აღსრულების პროცესის შესაფასებლად.¹⁰¹

⁹⁷ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1514-ე შეხვედრაზე (3-5 დეკემბერი 2025) მიღებული გადაწყვეტილება, პარა. 4 <https://rb.gy/iit61f> [ბოლოს ნანახია 19/05/2025]

⁹⁸საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 35 <https://rb.gy/u8p71l> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

⁹⁹სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 31-32; 2022 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი გვ. 32-33. <https://rb.gy/cb4vj5> [ბოლოს ნანახია 16/05/2025]

¹⁰⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Merabishvili v. Georgia (საჩივარი 72508/13), სარეზოლუციო ნაწილი para. 6

¹⁰¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 157-158

ვიდეო-ჩანაწერები პენიტენციურ სისტემაში

მინისტრთა კომიტეტმა მთავრობას პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების ვიდეოკამერების ჩანაწერთა შენახვის ვადის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდა.¹⁰² სამწუხაროდ, ამ მასალების შენახვის ვადა კვლავ 10 დღეა,¹⁰³ მაშინ როდესაც აღნიშნული ვადა წლების წინ 24 საათს შეადგენდა, შემდეგ 5 დღემდე, ხოლო მოგვიანებით 30 დღემდე გაიზარდა.¹⁰⁴ 2023 წელს განხორციელებული ცვლილებებით, პენიტენციურ უწყებაში ვიდეოჩანაწერების დაარქივების ვადა 30 დღიდან 10 დღემდე შემცირდა.¹⁰⁵ სახალხო დამცველის შეფასებით აღნიშნული ცვლილება “მნიშვნელოვნად აუარესებს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობას მათ მიმართ არასათანადო მოპყრობისა ან/და მათი უფლებების სხვაგვარი დარღვევის პრევენციის მიმართულებით.”¹⁰⁶ ამავდროულად, ცალკეულ პენიტენციურ დაწესებულებებში, ვიდეოსამეთვალყურეო ინფრასტრუქტურის განუახლებლობის გამო, ეს ვადა 120 საათია და დღემდე არ დაწყებულია სისტემის განახლების პროცესი.¹⁰⁷

სახალხო დამცველი კვლავ იმეორებს, რომ იმ დაწესებულებებში სადაც მასალა 120 საათით ინახება, აუცილებელია სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა დროულად დაიწყოს ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოები, რათა მასალის შენახვა უზრუნველყოფილ იქნეს დადგენილი 10 დღიანი ვადით.¹⁰⁸ ამავდროულად, კრიტიკულად აუცილებელია, რომ ხსენებული 10 დღიანი ვადა გაიზარდოს.¹⁰⁹ სამოქმედო გეგმაში სახელწმიფო მიუთითებს, რომ სახალხო დამცველი 2019 წლის რეკომენდაციით ვიდეოკამერების ჩანაწერთა შენახვის ოპტიმალური ვადად 10 დღეს

¹⁰²ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1521-ე შეხვედრაზე (4-6 მარტი 2025) მიღებული გადაწყვეტილება, პარა.7 <https://rb.gy/ou5w1d> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

¹⁰³“ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე” საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁰⁴ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 70, <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025];

¹⁰⁵საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 72, <https://shorturl.at/Q2a86> [ბოლოს ნანახია 13/05/2025]

¹⁰⁶საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 71 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]; სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 21-22

¹⁰⁷საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 71 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]

¹⁰⁸ სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები) გვ. 23

¹⁰⁹ იქვე.

ასახელებდა.¹¹⁰ აღნიშნულის პასუხად, გთხოვთ, იხილოთ სახალხო დამცველის დეტალური დასაბუთება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე წარდგენილ კომუნიკაციაში, სადაც აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის შეფასებით: „ყველაზე ოპტიმალურ შემთხვევაში, გონივრული იქნებოდა ვიდეო-ჩანაწერების შენახვის მინიმალური ვადის იმგვარად დადგენა, რომ იგი დაუკავშირდეს პატიმრის მიერ თავისი უფლებების დარღვევის გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილ 30 დღიან ვადას.“¹¹¹

ანა არგანაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

საქმის შესახებ

2024 წლის 24 მაისს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე – „ანა არგანაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც გასაჯაროვდა 2024 წლის 20 ივნისს.

2021 წლის 5 მაისს კომუნიკაციის ავტორმა - ანა არგანაშვილმა - გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს წინოწმინდის წმინდა წინოს სახელობის ბავშვთა პანსიონში მცხოვრები 57 ბავშვის სახელით წარუდგინა კომუნიკაცია. საჩივარი ეხებოდა სახელმწიფოს სავარაუდო უმოქმედობას, რაც გამოიხატებოდა დახურული ტიპის დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების უფლებების დასაცავად სათანადო ზომების მიუღებლობაში, მათ შორის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან დაცვის უზრუნველყოფის კუთხით.

კომიტეტმა დაასკვნა, რომ სახელმწიფოს მიერ ბავშვთა დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობამ კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევა გამოიწვია. კერძოდ, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ბავშვების უფლება - გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სათანადოდ არ განახორციელა სახელმწიფო ზრუნვაში არსებული პირობებისა და მოპყრობის პერიოდული გადახედვა. გარდა ამისა, საგამოძიებო ორგანოებმა არ მიიღეს დროული და ეფექტიანი ზომები ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის ბრალდებების სრულყოფილი და ობიექტური გამოძიებისთვის. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფოს დაევალა არაერთი ინდივიდუალური ღონისძიების გატარება — მათ შორის ოფიციალურად ბოდიშის მოხდა დაზარალებული ბავშვებისთვის, კომპენსაციის გაცემა,

¹¹⁰1521st meeting (March 2025) (DH) - Action Plan (23/12/2024) - Communication from Georgia concerning the case of Merabishvili v. Georgia (Application No. 72508/13 პარა. 55, <https://tinyurl.com/yfhwjpijz> [ბოლოს ნანახია 25/04/2025])

¹¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 22 ნოემბრის კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ გვ. 6-7, <https://tinyurl.com/23vfdt8m> [ბოლოს ნანახია 13/05/2025])

ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, ეფექტიანი გამოძიება და ბენეფიციართა ხელახალი შეფასება. სახელმწიფოს 2025 წლის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ზოგად და ინდივიდუალურ ღონისძიებებზე, მათ შორის, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების ჩართულობაზე, კომპენსაციის პროცედურების დაწყებაზე და ზრუნვის სააგენტოს მიერ ბენეფიციართა შეფასების პროცესზე.

ნინოწმინდის პანსიონატში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა

მონიტორინგის ფარგლებში მიღებული და წერილობით გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის ბოლოს პანსიონში ცხოვრობდა შვიდი არასრულწლოვანი და ერთი სრულწლოვანი პირი, რომელიც ემზადებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გასაგრძელებლად. 2025 წლის მდგომარეობით, პანსიონში დარჩენილია ექვსი აღსაზრდელი.¹¹²

მართალია ისინი თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, ცალკეული მიმართულებებით სახეზეა აშკარა პროგრესი, თუმცა კვლავ იკვეთება განგრძობადი ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პრობლემა და დაწესებულების ფიზიკური გარემო კვლავ ვერ ქმნის ოჯახური გარემოს მსგავს პირობებს.¹¹³

სახალხო დამცველის შეფასებით, გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, აუცილებელია დამატებითი ზომების გატარება ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სამართლებრივი გარანტიების სრულყოფილად უზრუნველსაყოფად,

დაწესებულებათა მონიტორინგი და არასრულწლოვნებთან კონფიდენციალური გასაუბრება

სამინისტროს ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაწესებულებათა მონიტორინგის მიმართულებით საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებები დაუბრკოლებლად, სრულფასოვნად ხორციელდება და მოცემულია ვიზიტების სტატისტიკაც.¹¹⁴ ვადასტურებთ, რომ აღნიშნული მონიტორინგის განხორციელებას არ შეეძნია რაიმე დაბრკოლება.

¹¹²სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია: SCA 9 25 00418110, 14/04/2025.

¹¹³ ბავშვების გადმოცემით, ბოლო წლებში, ისინი უზრუნველყოფილნი არიან საბაზო საჭიროებებით, აქვთ დასვენების მეტი შესაძლებლობა, პირადი სივრცე და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების პროცესიც გაძლიერდა. იხ. იქვე.

¹¹⁴საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ გვ.25-26

სამინისტროს დოკუმენტში ასევე აღნიშნულია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ ზრუნვის სერვისებში განთავსებული ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებაც.¹¹⁵ ამ მიმართებით უნდა ითქვას, რომ მაგალითად მცირე საოჯახო ტიპის სახლებში პრობლემურია რთული ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მქონე ბავშვებისთვის სათანადო, ინტეგრირებული და მეცნიერულად გამყარებულ მდგომარეობაზე დაფუძნებული სერვისების ნაკლებობა ან არარსებობა, გეოგრაფიული მიუწვდომლობის გათვალისწინებით.¹¹⁶ ამავდროულად, ამ დაწესებულებებში კვლავ პრობლემაა ადიქციის პრევენცია და მართვა რამდენადაც სახელმწიფოს საამისოდ აუცილებელი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი პროგრამები არ აქვს.¹¹⁷

დედათა და ბავშვთა სახელმწიფო თავშესაფრებთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ “...სერვისი სათანადოდ კვლავ ვერ უზრუნველყოფს ბიოლოგიური ოჯახის გრძელვადიან მხარდაჭერასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის სათანადო მომზადებას.”¹¹⁸ ამავდროულად, გამოწვევად რჩება დამატებითი ადამიანური რესურსის, ძირითად კადრის საჭიროება, რაც დედებს განათლების მიღებისა და დასაქმების უფრო მოქნილ და მეტ შესაძლებლობას მისცემდა. საყურადღებო გამოწვევაა სერვისით მოსარგებლე დედების მშობლის უნარ-ჩვევების გაძლიერება.¹¹⁹

ბავშვზე მორგებული საჩივრების სისტემა, იურიდიული დახმარებისა და წარმომადგენლობის უზრუნველყოფა

სამინისტროს ანგარიშში მითითებულია, რომ სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვებისთვის, თავიანთი პოზიციის თავისუფლად გამოსახატად დანერგილია ანონიმური ყუთებისა და სხვა მექანიზმები. ამასთან, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო უზრუნველყოფს ბავშვების იურიდიულ დახმარებაზე წვდომასაც.¹²⁰

ამ მტკიცებების მიუხედავად, სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებით, აღნიშნული მექანიზმების არაეფექტიანობა და ბავშვის დაცვის მექანიზმებზე არასრულწლოვანთა მწირი ინფორმირებულობა იკვეთება.¹²¹

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 333 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025];

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ იქვე, გვ. 335

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ გვ.26-27

¹²¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 333-334 <https://rb.gy/u8p711> [ბოლოს ნანახია 25/04/2025]; მაგალითად,

მაგალითად, „...ყველა ადასტურებს, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არ არის ერთი კონკრეტული ადამიანი გამოყოფილი იმისთვის, რათა „ბავშვთა დამცველი იყოს“, მათ ინფორმირებასა და მხარდაჭერაზე ინდივიდუალურად იმუშაოს. აქვე, აღსანიშნავია, რომ სახლებში არის გასაჩივრების ყუთები, მაგრამ უკუკავშირისა და გასაჩივრების ეს მექანიზმი, უმეტესწილად, არაეფექტიანი და ფორმალურია, და მას ბავშვები თითქმის არ იყენებენ.“¹²²

ამავდროულად, სახალხო დამცველის მიერ სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები ფიქრობენ, რომ უნდა ჰქონდეთ უფასო იურიდიული დახმარება.¹²³ მართალია, „...მათ იციან, რას საქმიანობს ადვოკატი ზოგადად, მაგრამ არ აქვთ ინფორმაცია, რომ შეიძლება ჰყავდეთ ადვოკატი უსასყიდლოდ და არ იციან, სად შეიძლება მოიძიონ ეს ინფორმაცია.“¹²⁴

გამოძიება და არასრულწლოვანთა პროცედურული გარანტიების უზრუნველყოფა

სამინისტროს ანგარიში ამ კუთხით ძირითადად კონცენტრირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შექმნილ ბავშვთა ოთახებზე, გამომძიებლების სპეციალიზაციაზე, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რეფერირების პროცედურების ფარგლებში სამართალდამცველების როლსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მანდატის გაფართოებაზე.¹²⁵

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს ანგარიში აღწერილობითი ხასიათისაა და არ აანალიზებს ამ საკითხთან მიმართებით მოცემული არცერთი მექანიზმისა თუ ინსტიტუციური ზომის ეფექტიანობას.¹²⁶ მეორე მხრივ, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებით სახალხო დამცველის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კვლავ „...გამოწვევად რჩება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში კანონთან

იხ. მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2024 გვ. 24 <https://rb.gy/vzy565> [ბოლოს ნანახია 28/04/2025]

¹²² მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2024 გვ. 24 <https://rb.gy/vzy565> [ბოლოს ნანახია 28/04/2025]

¹²³ იქვე.

¹²⁴ იქვე.

¹²⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ გვ. 27-30;

¹²⁶ იქვე.

კონფლიქტში მყოფი ბავშვების ინფორმირებული მონაწილეობა და მათი დაცვის გარანტიების ეფექტიანი დანერგვა.”¹²⁷

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობისთვის დაცვის ეფექტიანი გარანტიების არსებობის კუთხით კვლავ პრობლემაა ის, რომ, ბავშვების მოწმის სტატუსით გამოკითხვისას, ადვოკატის მონაწილეობა ამჟამად არ არის სავალდებულო.¹²⁸ ამ პირობებში, შესაძლოა მოხდეს ისე, რომ ადვოკატი პროცესში ბავშვის პირველი გამოკითხვის შემდეგ, მას მერე ჩაერთოს, რაც იგი დანაშაულს აღიარებს და ბრალი წარედგინება.¹²⁹

ამავე კონტექსტში უნდა ითქვას, რომ უშუალოდ ნინოწმინდის პანსიონატში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიება კვლავაც არასწორი კვალიფიკაციით, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს მაშინ, როდესაც “...საქმეების გაცნობისა და შესწავლის შედეგად, იკვეთებოდა ბავშვების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნები...”.¹³⁰

¹²⁷საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წელი, გვ. 337 <https://rb.gy/u8p7l1> [ბოლოს ნანახია 25/04/2025];

¹²⁸ იქვე, გვ. 337

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიში 2024 გვ. 59 <https://rb.gy/udqkkc> [20/05/2025]